

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე  
უფლებებთან მიმართებაში

მარიამ ზეგიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხი საერთაშორისო დონეზე დიდ მნიშვნელობას ატარებს და გამონაკლისი არც საქართველოა. ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს საქართველოს, რომ ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან მიმართებაში უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდებოდა. თემის მიზანია შეისწავლოს და გააანალიზოს საქართველოს პოლიტიკის კურსი და მისი შესაბამისობა საერთაშორისოდ მოთხოვნილ სტანდარტებთან, განხორციელებული რეფორმების ეფექტურობა და დაგეგმილი ღონისძიებები საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში.

კვლევის საგანს წარმოადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზი, მიმოიხილავს ამ სფეროში მოღვაწე ძირითადი აქტორების როლს პოლიტიკის შემუშავებაში, კანონმდებლობის აღსრულების საკითხებს და სახელმწიფოს სამომავლო გეგმებს.

ნაშრომის შემუშავებისას გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები და განხილულია როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია. ნაშრომის ბოლოს გამოკვეთილია სახელმწიფოს წინაშე მდგომი გამოწვევები და შემუშავებულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები.

## **Abstract**

Protection of Intellectual Property rights is the important matter worldwide and Georgia is no exception to it. Georgia has to undertake more obligations due to the current political processes, to bring the national legislation in accordance with the international standards.

During the recent years, state policy on Copyright and Adjacent rights has been developing gradually. The goal of this research paper is to study and analyze state policy and its compliance with the internationally accepted standards, the effectiveness of the implemented reforms and planned changes in the field of copyright and adjacent rights.

The task of this paper is analyze national and international legislation related to copyright and adjacent rights, the role of key actors working on policy-making, law-enforcement issues and future plans of the government.

The paper is based on qualitative research methods, and discusses both primary and secondary sources of information. In the end of this paper, challenges facing the state and general recommendations are developed.